დავით ამირეჯიბი,
ლელა ნიორაძე.

“ARBOR VITAE” – *განწყობის ანთროპოლოგიის და ფსიქოთერაპიის ქრისტიანული ინსტიტუტი /რეგისტრირებული კავშირი/.*

რუსული თვითიზოლაციონიზმი და ერთმორწმუნეობის ილუზია.

ქართული საზოგადოება დღეს განიცდის ექსისტენციონალურ კრიზისს, რომლის არსი შინაგან კონფლიქტშია; ერთი მხრივ, ძველ-საბჭოური, თავის თავში ჩაკეტილი, პარააუტისტური და მეორე მხრივ, ახალი, დემოკრატიული, გახსნილი არსებობის წესებს შორის.
ეს კრიზისი ილტვის პოლიტიკური სივრცის დაპყრობას და სწორედ მისი დინამიკა გან- საზღვრავს ქართული ისტორიის განვითარების ვექტორებს.

მუსლიმანურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ომებით გადაღლილი საქართველო დიდი ხნით აღმოჩნდა “ერთმორწმუნე˜ რუსეთის ხელში, რასაც შეეწირა ჩვენი სახელ- მწიფოებრიობა და სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა ქართულ ეკლესიას. ეროვნული სულის აღმოსაფხვრელად რუსეთმა ომი გამოუცხადა ქართულ ენას, კულტურას. რუსული ეკ- ლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგი იყო უძველესი ისტორიის მქონე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ქართული ეკლესია-მონასტრების დახურვა და ძარცვა, საეკლესიო მონუმენტური მხატვრობის მოსპობა, ქართული გალობის აკრძალვა. ანუ ყველაფერი ის, რაც საქართველომ გამოატარა საუკუნეების მანძილზე მუსლიმანი მტრების ხელში.
ადამიანი ფიქრობს და მოქმედებს ისე, როგორც და რისიც სწამს, სწორედ ამითაა საშიში ერთმორწმუნეობის ნიღაბს შეფარებული ცრუმორწმუნეობა, ანუ რუსული, “მართ- ლმადიდებლური” კლერიკალიზმი.
მაინც რისი სწამთ დღეს ერთმორწმუნე რუს პოლიტიკოსებს? მაგალითად იმის, რომ კავკასიაში გათხრილმა ხვრელმა უნდა აღადგინოს ისტორიული სამართალი და ორად გახლეჩილი ოსი ერის მთლიანობა? რა გამაერთიანებელი, სასიცოცხლო ღირებულებები მოედინება ამ ხვრელით რუსეთიდან? საბჭოური წარმოების გრძელლულიანი სამხედრო მანქანები, მარგინალური პოლიტიკური პერსონები და, რაც მთავარია, – რუსეთის “ერთმორწმუნე” საპატრიარქოს წარგზავნილები. რა იდეოლოგიას ახვევენ თავს ცხინვა- ლის მოსახლეობას ეს ოდიოზური პერსონები?
ქართლში და აფხაზეთში ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტის ამოცანა მდგომარეობს არა იმდენად ფიზიკურ ქმედებებში ქართველთა წინააღმდეგ, რამდენადაც <u>რეგიონის ინფორმაციულ, მენტალურ და კულტურულ იზოლირებაში,</u> რაც მათ აძლევთ მოსახლეობის ორივე მხარის ფსიქოლოგიური მანიპულირების საშუალებას. დანარჩენ “საქმეს” კი, მათი აზრით, უკვე ხელოვნურად ინსპირირებული “მტრის ხატით” განპირობებული დესტრუქციული განწყობები და რუსული იარაღი გააკეთებენ.

სწორედ ამ სტრატეგიით არის განპირობებული აფხაზეთსა და ქართლში, კონ-ფლიქტის ზონაში საბჭოური ტიპის, არქაული რეჟიმების შენარჩუნების მცდელობა, მოსახლეობის იზოლირება სამყაროსაგან, ინფორმაციულ "რეზერვაციაში" გამომ-წყვდევა.

რა როლს თამაშობს ამ პროცესში რუსული მართლმადიდებელი ეკლესია?

კერძოდ, რა ამოცანა დააკისრა რუსეთის საპატრიარქომ მის წარგაზავნილს, რომელიც ე.წ. "სამხრეთ ოსეთის განთავისუფლების დღეს", ზემოხსენებულ აფხაზ, ოს და რუს "პროქტოფანტასმიტებთან" ერთად ვიხილეთ ცხინვალში, სამხედრო აღლუმზე, პრეზიდიუმში?

იქნებ მათი მისია ერთმორწმუნე ქართულ ეკლესიასთან ერთად, ცხინვალის რე-გიონში მცხოვრებ მართლმადიდებელ ხალხებს – ოსებს, ქართველებს, და ა.შ. შორის დაძაბულობის განმუხტვა და კეთილმეზობლურ, ქრისტიანულ ურთიერ-თობათა განვითარება და მშვიდობისაკენ მოწოდებაა?

მაგრამ მოწოდებები მშვიდობისაკენ ვერ ეთანხმება რუსული ჯავშანტექნიკით მოსახლეობის ტერორიზების პოლიტიკას. საქართველოსაგან, ანუ ქართველებისა-გან ცხინვალის დამოუკიდებლობის ზეიმის სულისკვეთებას. დამოუკიდებლობის, რომელიც ერთმორწმუნე ქართველების საკუთარი სახლებიდან ფიზიკური დევ-ნის, მათი სისხლის და გენოციდის ფასად განხორციელდა.

რას ზეიმობს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ცხინვალში?

ვფიქრობთ, რომ ამ პოლიტიკური ვაკხანალიის მთავარი იდეოლოგიური ხაზი სწორედ ქართულ და რუსულ ეკლესიებსა და ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ხალხებს შორის განხეთქილების შეტანაში და მტრის ხატის გაღრმავებაში მდგომარეობდა. ასეთია რუსული ეკლესიის ნამდვილი სახე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ ჰუმანიზმთან.

რუსული ეკლესია ცხინვალსა და აფხაზეთში ნერგავს მტრობას, ეთნიკურ ნი-ადაგზე დაპირისპირებას, სეპარატიზმს და აფხაზებისა და ოსების ხელით ცდი-ლობს რუსული, იმპერიული, ერთობ არაქრისტიანული მიზნის – ქართული მიწის საბოლოო ანექსიისათვის მორალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების შემზადებას, ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ხალხებს შორის ახალი სისხლისა და ომის გაჩაღებას.

ჩვენი ზოგიერთი მოქალაქე აქციებს მართავს ვატიკანის და ამერიკის საელ-ჩოებთან, იმის ნაცვლად. რომ აქციები გამართოს რუსეთის საელჩოსთან, თუნდაც ცხინვალში შემოგზავნილი რუსი სასულიერო პირის გამო, რომელიც რუსეთის დამანგრეველ პოლიტიკას ატარებს: იგი არღვევს ყოველგვარ საეკლესიო სამარ-თალს, არად აგდებს საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას და ქართველ ხალხს და მიბრძანდება იქ, სადაც მისი ადგილი არ არის.

მიუხედევად ყველაფრისა ქართველთა ერთი ნაწილი დღესაც "ერთმორწმუნე" რუსეთისაკენ მიილტვის, თვლის რა, რომ ქართული კულტურისა და სარწმუ-ნოების ერთადერთი დამცველი რუსეთია.

მათთვის რუსეთი გაიგივებულია მართლმადიდებლობასთან, დასავლეთი კი – ურწმუნო- ებასთან და საშიშროებასთან. ამას გაიგონებთ ზოგიერთი სასულიერო პირისგანაც, რასაც იმეორებს მრევლიც.

გასაოცარია, რომ ბოლო 200 წლის მანძილზე ჩვენში ისეთი ფანატიზმი და-მკვიდრდა, რაც შუა საუკუნეებშიც კი უცხო იყო.

სინამდვილეში "მარლთმადიდებლობაც" და ათეიზმიც იმპერიულმა რუსეთმა გაიხადა ინსტრუმენტად, რათა მოეხდინა მრავალეროვანი მოსახლეობის იზოლა-

ცია დანარჩენი სამყაროსგან. იზოლაციის ამოცანა გახლავთ მოსახლეობის დამორჩილება, მისი ცნო- ბიერებით მანიპულირება. ათეიზმი იყო კარგი საშუალება ყველა რელიგიებთან და მთელ სამყაროსთან დაპირისპირებისათვის. საზოგადოების მსოფლიოსაგან იზოლაციის, დე- კულტურიზაციის გზით ადამიანთა აზროვნებისა და ნებელობის სრული დამორჩილებისათვის.

ეს იდეოლოგია მკვიდრდებოდა პირდაპირი ფიზიკური ძალადობით მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასად.

დღეს რუსული ეკლესია იგივე მიზანს ისახავს, მართლმადიდებელთა კულტურულ იზოლაციას ერთმანეთისაგან და დანარჩენი სამყაროსგან. იგი უპირისპირდებოდა და უპირისპირდება არა მარტო განსხვავებულ კონფესიებს, არამედ ყველა იმ მართლ- მადიდებელ ეკლესიას, რომელიც ამ იზოლაციონიზმს არ ცნობს და გახსნილია კროს- კულტურული დიალოგისათვის. რუსეთმა გაანადგურა საქართველოსა და მოლდავეთის (ბესარაბიის) ეკლესიები და მათ ადგილზე შექმნა მართული ეკლესიები, ხოლო მათ, ვინც ისტორიული კონტექსტის გამო შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და თავისი სულიერი გზა, მასთან შევიდა კონფლიქტში (მაგ: კონსტანტინოპოლის საპატრიარქო). ისტორიულად ცნობილია, რომ რუსეთის ეკლესიის მხრიდან უხეში ზეწოლის გამო, დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის მარლთმადიდებელი ხალხები თავისი მრწამსის დასაცავად იძულებულნი გახდნენ უნია დაედოთ რომის ეკლესიასთან.

რუსული მარლთმადიდებლობის იზოლაციონიზმი შეიძლება მოგვეჩვენოს, დაპირისპირებად მხოლოდ აბსტრაქტულ-თეოლოგიურ დონეზე. ეს აზრი მცდარია. და- პირისპირების იდეოლოგიას ღრმა ფესვები აქვს გამდგარი საზოგადოებაში, რაც თავს იჩენს ხშირად შინაგან კომპლექსებში, კომფესიურ ჩაკეტილობებში მაგ: ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გამოიხატება ქართველთა იმ ნაწილის მიმართ, რომელიც, მაგალითად, ქრისტიანი კათოლიკეა, (მიუხედავად იმისა, რომ მათი ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში უზომოდ დიდია: მაგ: ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ირბახი), ზაქარია ფალიაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ თამარაშვილი და სხვა მრავალი). რომ არაფერი ვთქვათ მუსლიმან ქართველებზე. ანტიკათოლიკური განწყობა ნებით თუ უნებლიეთ ვრცელდება იმ უდიდეს სულიერ კულტურაზე, რასაც კათოლიციზმი ატარებს. ფაქტობრივად, ეს არის ანტიევროპეიზმი.

რუსული იმპერიული იდეოლოგიისთვისაა დამახასიათებელი ნამდვილი ქრისტიანული სულისთვის უცხო მტრის ხატის შექმნა და კულტივირება. მაგ: რუსეთის ეკლესიამ აუკრძალა რომის პაპს იოანე პავლე II-ს რუსეთში ჩასვლა და კათოლიკე მრევლთან შეხვედრა და ამით შეურაცხყო არა მარტო ვატიკანი, არამედ მილიონობით კათოლიკე ქრისტიანი მთელს მსოფლიოში. თუ მის პოლიტიკას დასჭირდა იგი იოლად იპოვის საერთო ენას და ინტერესებს ირანის თუ ერაყის სასულიერო მმართველებთან, ანუ იზოლაციონისტურ ქვეყნებთან, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოს უპირისპირდებიან ტერორით. ასეთი ტენდენციები რუსეთში ყოველთვის შეიმჩნეოდა. მაგ: შუა საუკუნეებში მონღოლთა ბატონობის დროს, რუსული ეკლესია მშვენივრად ეწყობოდა მონღოლ დამპყრობლებს, ხოლო დასავლეთ ქრისტიანებს დევნიდა.

რუსული იდეოლოგიის კათოლიციზმთან დაპირისპირება აიხსნება მარტივი მიზეზით. რომის ეკლესია რუსეთის იმპერიას ხელს უშლიდა ცენტრალური და და-

სავლეთი ევროპის ხალხების დაპყრობაში, იგი ეწინააღმდეგებოდა რუსულ იზოლაციონიზმს, ეს ჩანს როგორც მეფის რუსეთის, ისე ბოლშევიზმის დროსაც მაგ: რომის პაპი იოანე პავლე II მთელი მისი ცხოვრება ებრძოდა კომუნიზმსა და ათეიზმს. საპჭოთა კავშირის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში მისი ღვაწლი განუზომელია. მისი რუსეთში არ შეშვების მიზეზი ზუსტად ეს იყო.

რუსული მართლმადიდებლური სეპარატიზმი და იზოლაციონიზმის პოლიტიკა მარტო გარესამყაროს კი არ წყვეტს ქვეყანას, არამედ შინაგან კონფლიქტებს აყალიბებს, რაც შემდგომ ღრმავდება და თავს ავლენს ეთნოკონფლიქტებისა და სეპარატისტული ტენდენციების სახით. მაგ: აჭარა, ასლან აბაშიძის სეპარატიზმი, რომლის შესახებ საუბარი აღარ ღირს, რამეთუ ყველამ იხილა საქართველოში ახალი კონფლიქტის ესკალაციის საშიშროება.

ეს პრობლემაც უშუალო შედეგია იზოლაციონიზმის, რომელიც ინერგებოდა გარედან და სრულიად უცხოა არა მარტო ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისათვის, არამედ სრულიად ქრისტიანობის, მეტადრე ქართული ეკლესიისათვის.

იზოლაციონიზმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. იზოლაციის მიზანი არის ამ ხალხის სულიერი ცხოვრებისა და კულტურის დაკნინების მცდელობა, უკულტურო ფონზე მტრის ხატის ჩანერგვა, პირველ ყოვლისა საქართველოს და შემდეგ დასავლეთის მიმართ.
გარე სამყაროს მიმართ მტრის ხატის შექმნაში, გავრცელებაში და გაშიგნებაში მთავარ როლს თამაშობს სწორედ რუსული ეკლესია ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ძველი კომუნისტურ-ათეისტური პრინციპები. ეს ნაზავი ორი პოლუსიდან ერთი და იგივე მიზნის მიღწევას ემსახურება. ამიტომ ამ რეგიონებში დრო და ისტორია გაჩერებულია, ხოლო საზოგადოებრივი სივრცე განიცდის დეგენერაციას. თვით რუსეთის შუაგულშიც კი ვეღარ ვიპოვით ასეთ ცნობიერებას.

ამ ვითარებას ჩვენ მივიჩნევთ დანაშაულად კაცობრიობის წინაშე. სახეზეა მორალურ-ფსიქოლოგიური გულაგი. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის "მართლმადიდებლური ხელი" გეგმაზომიერად ანადგურებს ქართულ ქრისტიანულ კულტურის ძეგლებს. ნად- გურდება ტაძრები, ფრესკები, კედლის წარწერები, საფლავიდან არის ამოგდებული ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის ნეშთი. ამ ფონზე ატარებენ კრებებს გაურკვეველი წარმოშობის "სასულიერო პირები" და "უერთებენ" ამ ძირძველ ქართულ ეპარქიას რუსეთის ეკლესიას. **ამ ვანდალური ქნედებებისა და ზოგადად რუსეთის მიერ აფხაზეთის მიწების ანექსიის არსს ნათელს ხდის სიმონ კანანელის აფხაზეთში მოღვაწეობისა და იქ მისი წმიდა ნეშთის განსვენების ფაქტი. ქართული, აფხაზური წმიდა მიწების ანექსია, რუსეთს საშუალებას აძლევს გახდეს სამოციქულო ეკლესია, რაც მას ესოდენ სჭირდება თავის იმპერიული, ავადმყოფური ზრახვისათვის – რუსული იმპერიის გამოცხადებისათვის III რომად.**

ეს არ არის დანაშაული მხოლოდ ქართველი ერის წინაშე, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ვანდალიზმი და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების ხელყოფის ფაქტები. ჩვენი ეკლესია, ქართულ საზოგადოებასთან ერთად, ვალდებულია, ხმა აღიმაღლოს მართლმადიდებელი სამწყსოს დასაცავად, ამხილოს ანტიადამიანური პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მან უნდა მოუწოდოს მსოფლიო

ეკლესიებს ამ ადამიანთა გადასარჩენად სულიერი გადაგვარებისგან, სადაც მართ-ლმადიდებლობის სახელით მძვინვარებს ტერორი და ვანდალიზმი.

მთელი ეს ტენდენციები აისახება ეკლესიის ცხოვრებაზე ყოველი მხრიდან, რაც ნათლად იკვეთება ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში: ძეგლების ხელყოფა (მაგ: ალავერდის პორტალის შელესვა), გაურკვეველი "რემონტების" ჩატარება ჩვენს მონასტრებში, რასაც რუსეთს გადარჩენილი ფრესკები ეწირება, ზოგი ახალი ეკლესიების არქიტექტურა და ადგილ- მდებარეობა, უძველესი ქართული ქრისტიანული საგალობლების არაკანონიკურად გამო- ცხადება. ეს არის გარედან ჩვენთვის თავსმოხვეული დეკულტურიზაციის ტენდენციის გაგრძელება ჩვენს დროშიც.

იზოლაციონისტური იდეოლოგიის გავლენას ხშირად ვხვდებით ჩვენ ეკლესიაშიც. აი მაგალითად, სათაური ერთ-ერთი სტატიისა საქართველოს საპატრიარქო ჟურნალიდან "კრიალოსანი" #3, აპრილი 2005 წ. "ლიბერალიზმი _ სიცრუე და ცოდვის მონობა თავისუფლების ნიღბით".
ჩვენ პიდაპირ, შეუფარავად გვეუბნებიან, რომ ლიბერალიზმი – დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ჩვენთვის დამღუპველია და ერთადერთი გამოსავალია სა- მყაროსაგან იზოლაცია, რუსეთთან ერთად. ნათელია, რომ ქართულ საზოგადოებას უბი- ძგებენ პოლიტიკური და რელიგიური აუტიზმისაკენ, რაც თავისი არსით ანტიქრის- ტიანულია და ფსიქოლოგიურად საშიში. თუ საზოგადოება და ეკლესია წარმოადგენს თავის თავში დახურულ, ჩაკეტილ სივრცეს - იქ ადგილი აღარ რჩება სულიერებისათვის, კულტურისათვის, ჭეშმარიტი რწმენისათვის, რომლებისათვისაც უცხოა საზღვრები. ასეთ დახშულ სივრცეში ისადგურებს ცრუმორწმუნეობა, მაგია, აგრესია, ანუ დეკულტური- ზაციის სინდრომი, რომლის არსი ადამიანთა ცნობიერებითა და ნებით მანიპულაციაშია. ადამიანები ექცევიან, საეკლესიო რიტუალის შეფარებული, მაგიური ზემოქმედების ქვეშ.
როგორც შედეგს, ვიღებთ გარე სამყაროსთან დაპირისპირებულ, ყველასადმი მტრულად განწყობილ, თავის თავში ჩაკეტილ, ნარცისიზმით შეპყრობილ საზოგადოებას. ხორციელდება რუსული იმპერიალიზმის სანუკვარი მიზანი – დაუპირისპიროს ქვეყანა დანარჩენ სამყაროს, გადააქციოს ის უკულტურო პროვინციად, დაუკარგოს დამოუკიდებლობა და დაუქვემდებაროს თავის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გავლენას.

რუსეთში კომუნისტური, ათეისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო სწორედ რუსული ეკლესიის თვითიზოლაციონისტური იდეოლოგია, რომელიც განსხვავებულ კულტურებს აღიქვამდა როგორც მტრულს. ათეიზმმა ეს ხაზი განავითარა, განავრცო და ამ პრინციპზე დააფუძნა რუსული, საბჭოთა იმპერია. საბჭოთა კავშირში ათეისტური კომპარტია და ეკლესია წარმატებით ატარებდნენ ქვეყნის, გარე სამყაროსაგან იზოლაციის და ყოველივე განსხვავებულისადმი აგრესიული დაპირისპირების ხაზს.
საქართველოს ეკლესიისთვის ეს იდეოლოგია იყო სრულიად უცხო, ამიტომ ის აღმოჩნდა უმძიმესი წნეხის ქვეშ რუსული ეკლესიის მხრიდან, როგორც გასაბჭოებამდე, ისე მის შემდეგ. "მართლმადიდებლობა" აქ მხოლოდ პირობითი

სახელი იყო და არის, რომელიც ქმნის რუსულ ეკლესიასთან ერთსულოვნების ილუზიას და ამით უადვილებს იმპერიულ ძალას იგი დაიმორჩილოს ბოლომდე.

საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობის ზენიტს დავითის, თამარისა და შოთას ეპო ქაში მიაღწია, სწორედ ღრმა სულიერებისა და კულტურის მეშვეობით. რაც გამოიხატება ღიადობაში, შემწყნარებლობაში, კულტურათა დიალოგში როგორც დასავლეთ ევროპელ ქრისტიანებთან, ისევე მუსლიმანებთან. **ქართული ეკლესიისა და საზოგადოების ღიადობა განსხვავებული კულტურებისადმი მეტყველებდა მის ძლიერებაზე და არა სისუსტეზე.** ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს "ვეფხისტყაოსანი", ან თუნდაც ძველი თბილისის არ- ქიტექტურა, სადაც წარმოდგენილია კონფესიების სიმრავლე და, რაც მთავარია, ამ ეკლ- ესიათა მრევლის ყოველდღიური, მეზობლური, ადამიანური ურთიერთობების, მსოფლი- ოსათვის სამაგალითო, უმდიდრესი ქართული სულიერი ტრადიცია.

მუსლიმანურ ქვეყნებთან ომის პირობებშიც კი ჩვენ არ უარვყოფდით მუსლიმანურ კულტურას. ვიგერიებდით რა აგრესიას და უკულტურობას, არ ვქმნიდით მტრის ხატს კულტურისა და რელიგიის ფენომენების მიმართ, მაგ: ვეზიარებოდით სპარსული პოეზიის, ფილოსოფიის, ხელოვნების, არქიტექტურის შედევრებს და არ ვერიდებოდით კულტურულ გავლენებს, ვრჩებოდით რა ქრისტიანებად და მართლმადიდებლებად. ჭეშმარიტი ქრისტიანობა ეწინააღმდეგება უკულტურობას და სრულიად ღიაა კულტურის მიმართ.

როგორც ცნობილია, 1811 წელს, რუსეთის ეკლესიის მესვეურებმა, ყოველგვარი ეკლესიური წესის საწინააღმდეგოდ, გააუქმეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და მის სანაცვლოდ დააარსეს რუსეთის ეკლესიის ეგზარხატი, **რაც ფაქტობრივად ნიშნავდა "ერთმორწმუნე" რუსული ეკლესიის მიერ, ქართული მართმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას**. მაგრამ, თავის უფლებებში შეზღუდული და დაქვემდებარებული ქართული ეკლესიის ქრისტიანული, ტოლერანტი ბუნება ბოლომდე მაინც ვერ იქნა ჩაკლული. ქართული ეკლესიის ქრისტიანული ბუნება მომდინარეობდა თვით ქართველი ხალხის კულტურული და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან, საქართველოს, როგორც უძველესი ისტორიის მქონე ცივილიზაციის გახსნილობიდან, სხვა კულტურებთან დიალოგისა და სულიერი ურთიერთგამდიდრების სურვილიდან. ევროპისა და აზიის კონტინენტთა შესაყარზე, საქართველო თითქმის ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც უძველესი დროიდან იწყნარებდნენ და პატივს სცემდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანებს. ამის ნათელი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისში, საუკუნეთა მანძილზე, ერთმანეთის გვერდით მოქმედებდა მართმადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანელთა, კათოლიკეთა, თუ ლუთერანთა ეკლესიები, ებრაელთა სინაგოგა, მაჰმადიანელთა მეჩეთი და სხვა. თბილისი იყო და დღესაც არის, ეროვნებათაშოროსი ურთიერთობის უნიკალური კულტურის მქონე ქალაქი, სადაც ყოფით დონეზე, ერთად, კეთილმეზობლურად და არა ერთმანეთისგან განცალკევებულად და იზოლირებულად, ცხოვრობენ განსხვავებული ეროვნებისა და მრწამსის მქონე ოჯახები. თბილისის უნიკალური არქიტექტურული თავისებურებები, გახსილი ეზოები, საერთო დერეფნები, საოცარი ესტეთური გარემო, რომელიც თითქოსდა თავისთავად განაპირობებს, გიბიძგებს გახსნილობისაკენ, ჭირისა თუ ლხინის

გაზიარებისაკენ, მეგობრობისაკენ, ურთიერთის კულტურის, ფოლკლორის, ჩვეულებათა, ტრადიციათა თუ ენის შესწავლისაკენ, რწმენის პატივისცემისაკენ. თბილისი იყო ერთა ურთიერთინტერესისა და სიყვარულის უნიკალური კულტურული სივრცე. რუსეთის თვითიზოლაციონისტურმა, იმპერიულმა პოლიტიკამ და რუსული ეკლესიის დიქტატმა დააზიანა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოსპო ეს უნიკალური კულტურული სიმდიდრე, რომლის ორგანული ნაწილიც იყო ქართული მართლმადიდებელი, ავტოკეფალური, სამოციქულო ეკლესია.
ისტორიამ ერგვარი გამოცდა მოუწყო კულტურული სინთეზის ამ უნიკალურ სივრცეს და მის შემოქმედ ქართველ ხალხს.

ჩვენ ვიღებთ რუსულ კულტურას, გვიყვარს მისი ლიტერატურა, მუსიკა, ბალეტი, მხატვრობა. ჩვენ ხომ, მათ შორის, დიდ რუსულ კულტურაზე ვართ აღზრდილნი. არ გვსურს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი სულიერი გამოცდილება, რომელიც ყოველთვის არსებობდა რუსული ეკლესიის წიაღში მისი უდიდესი ღვთისმეტყველნი, რომლებიც თვითონ ხდებოდნენ იმპერიული მანქანის რეპრესიების მსხვერპლი, შეეწიროს რუსული იზოლაციონიზმის იმპერიულ ამბიციებს. ჩვენ ვეწინააღმდეგებით რუსულ ჩექმას და არა მის კულტურას და სარწმუნოებას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკნინება აგრეთვე უკავშირდება თავსმოხვეულ იზოლაციონიზმს. მავანი და მავანი ჩვენ გვაშინებს, რომ დღეს საშიშროება ექმნება ჩვენს თვითმყოფადობას და მრწამსს. რეალურად კი სწორედ იზოლაციონისტური პოლიტიკის შედეგად საქართველომ დაკარგა საბჭოთა სახელმწიფოს მიღმა არსებული მსოფლიო, ხოლო მსოფლიომ დაკარგა საქართველო. მართლმადიდებლობამ კი დაკარგა საკაცობრიო მნიშვნელობა და მოექცა ეთნიკურ ფარგლებში.

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ნებსით თუ უნებლიედ, დღესაც, ხელს უწყობს ამ იდეოლოგიის ზეიმს. კომუნალური საზოგადოება, რომელიც ელიტარული, პრივილეგირებუ- ლი მდგომარეობის შენარჩუნებას სამიდღემშიოდ აპირებს, ბუნებრივია, ვერ იქნება დასავლური ორიენტაციის მქონე, რადგანაც ცივილური სამყარო ცვალებადი, განვითარებადი საზოგადოებებია, რომლებიც არ ცნობენ მუდმივ პრიორიტეტებს, გარდა ისეთი ფასეულობ- ებისა, როგორებიცაა – დემოკრატია, პიროვნების თავისუფლება, ერის უფლება ჰყავდეს ის ხელისუფლება, რომელიც თვითონვე აირჩია. ამიტომაც, "კომუნა" ირჩევს იმ ორიენტაციას, რომელიც მეტ გარანტიებს მისცემდა ნეტარების გასახანგრძლივებლად, საკუთარი ქვეყნის ნგრევის ფასად.
ანუ, იმ საქმიანობის ფასად, რომელსაც არ სჭირდება დაფიქრება, არც ნიჭი, არც დიდი გარჯა და განათლება, საკმარისია ისეთი თვისებების განვითარება, როგორებიცაა უზნეო ზნეობა, ურწმუნო რწმენა, კაცთმოძულე ჰუმანიზმი, ქვეყნის მოძულე პატრიოტიზმი, სნობიზმი, ცინიზმი, პადხალიმაჟი და სხვა ჰომო- სოვიეტიკუსისათვის დამახასიათებელი ან- თროპოლოგიური თავისებურებები. ქართველმა ხალხმა, ხავერდოვანი რევოლუციის გზით, უარი უთხრა იდიოტიზმის დიქტატურას, რომელიც აგრესიული ფორმით - ტენდირებს ტერორიზმისაკენ და დიდ საშიშროებას წარმოადგენს არა მარტოოდენ

საქართველოსათვის. **სწორედ ამიტომ უჭერს მხარს დღეს მთელი ცივილური სამყარო ქართველი ხალხის ზნეობრივ მოძრაობას დამოუკიდებლობიდან – თავისუფლებისაკენ.**

ქართულ ეკლესიას შესწევს ძალა, თავისი ჭეშმარიტი, კეთილშობილი ბუნების და ხელთუქმნელი შინაგანი არსის წარმოჩენის, მასზე საუკუნეების მანძილზე, გარედან თავსმოხვეული იზოლაციონისტური იდეოლოგიისაგან განთავისუფლებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, 200 წლოვანი რუსული იმპერიული დიქტატის შედეგები სერიოზულ სა- ფრთხეს შეუქმნის ჩვენს მართლმადიდებლურ მრწამსს, ქართულ სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას. ეს შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის ზეგავლენას ქართულ ეკლესიის ერთ ნაწილზე, არ ექნება პირდაპირი, უშუალო ხასიათი.

საქართველოს ეკლესიის წიაღში მიმდინარე პროცესები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენენ ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფოს არსებობაზე. რა გასაკვირია – პასუხისმგებლობა საქართველოს ყოფნა-არყოფნაზე დიდწილად აკისრია ჩვენს ეკლესიას.

სტატიის არასრული ვარიანტი გამოქვეყნდა გაზეთში "24 საათი", 2005 წლის 25 სექტემბერს.